პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 289 (11293) | სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, წარმატებით წყვეტს მომწიფებულ საკითხებს, შეჰყურებს მომავალს და მტკიცედ მიდის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1958 წლის 15 დეკემბერს გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენება „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები

შინაარსი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის განსახილველად, თქვა ამხ. ხრუშჩოვმა, შემოტანილია საკითხი — სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები. ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პლენუმის მუშაობა, როგორც ჩანს, იქნება პარტიის პოლიტიკური ანგარიში ხალხის წინაშე სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის. ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, იანვრის და შემდგომმა პლენუმმა, აგრეთვე პარტიის XX ყრილობამ ყოველმხრივ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის აღმავლობის ვრცელი პროგრამა. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარტიასა და მთელ ხალხს, რომ, ყოველი ღონისძიებით განავითარებდნენ რა კვლავაც მძიმე ინდუსტრიას, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის საფუძველს, უმოკლეს ვადაში უზრუნველეყოთ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდება.

სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებებში განხორციელდა ლენინის იდეა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საფუძველზე სოფლის მწარმოებლური ძალების განვითარების შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების შესახებ, ხალხის მასების შემოქმედებითი როლის შესახებ, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა გაბედულად ამხილა დიდი ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის მდგომარეობაში, უკუგდო გზიდან ყველაფერი, რაც ხელს უშლიდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებას. იმის მეოხებით, რომ მწვავედ გააკრიტიკა შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში და დარაზმა ხალხები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ღონიერი და მძლავრი გახდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელება დიდი წვლილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ ეკონომიურ განვითარებაში, მისი ძლიერების განმტკიცებასა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებაში. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდს პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილი ხუთწლედის მნიშვნელობა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სწორედ ის არის, რომ პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით განვითარდნენ საკოლმეურნეო წყობილების ძალები, ამოქმედდა მისი რეზერვები, რეალურ საფუძველზე იქნა დაყენებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისა და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევის ამოცანა. ამას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ანალიზს ვუკეთებთ რა გზას, რომელიც სოფლის მეურნეობამ განვლო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, უნდა შევეხოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც 1953 წლისათვის შეიქმნა.

საბჭოთა კავშირის მრეწველობამ იმ დროისათვის მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. ბევრად გაიზარდა ლითონის, სათბობის, ელექტროენერგიის წარმოება, გადიდდა მძიმე ინდუსტრიისა და მსუბუქი მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის გამოშვება. სამრეწველო წარმოების აღმავლობა. ახალი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშენებლობა წინანდელზე უფრო დიდ მოთხოვნებს აყენებდა კვების პროდუქტებსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

ხოლო როგორ იყო მაშინ საქმე სოფლის მეურნეობაში?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში იმ დროს მძიმე იყო. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თუმცა მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები. მაგრამ მათ მიერ მიღწეული წარმოების დონე ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებებისა და საკოლმეურნეო მშენებლობაში ლენინური პოლიტიკის ზოგიერთი დამახინჯების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა დაბრკოლდა. ამაში ძნელი არ არის დავრწმუნდეთ. თუ შევხედავთ სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგებს 1948 წლიდან 1953 წლამდე, არსებითად, ამ წლებში მარცვლეულის მთლიანი მოსავალი და დამზადება არ გადიდებულა. რძის წარმოებაც არ იზრდებოდა, ხოლო ხორცის საშუალო წლიური წარმოება იმ დონეზე დაბალი იყო, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ომის წინ.

კომუნისტური პარტიის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, დადგა ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი და სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უმოკლეს ვადებში უზრუნველგვეყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ზრდა, რათა დაგვეკმაყოფილებინა მშრომელთა მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

ეს ძნელი ამოცანა იყო. საჭირო გახდა პარტიის, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი ღონისძიებანი, რათა რამდენიმე წელიწადში მოგვეხდინა გიგანტური ნახტომი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ეყრდნობოდა რა ყველა მშრომელის უსაზღვრო მხარდაჭერასა და შემოქმედებითს აქტივობას, ჩვენმა პარტიამ გააჩაღა უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ყველაზე აქტუალური პრობლემები, სათავეში ჩაუდგა საყოველთაო სახალხო ბრძოლას ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის.

მთელი ხალხის ინტერესებისათვის, ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის პარტიამ გადაჭრა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეკონომიური საკითხები. აღდგენილ იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა, სოფლის ყველა მშრომელის მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რამაც ხელი შეუწყო კოლმეურნეთა მასების შრომითი აქტივობის აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას. პარტიამ განამტკიცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხელმძღვანელი კადრებით. აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებით. მუშათა კლასის გმირული ღონისძიებების მეოხებით სოფლის მეურნეობამ უმოკლეს ვადაში მიიღო ასეულ ათასობით ტრაქტორი და მილიონობით სხვადასხვა მანქანა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფომ გამოჰყო უდიდესი სახსრები. მიღებულ იქნა დაგეგმვის ახალი წესი, რამაც გაშალა კოლმეურნეთა ინიციატივა და საშუალება მისცა მათ დაეგეგმათ თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობა არსებულ შესაძლებლობათა ყველაზე სრულად გამოყენების გათვალისწინებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით სსრ კავშირის მშრომელებმა აითვისეს ათეულ მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები. რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შესანიშნავი გამარჯვებით დაგვირგვინდა. უკანასკნელ ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოება და დამზადება, რაც კეთილსაყოფიერად დაეტყო საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს მოჰყავს მონაცემები სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ზრდის შესახებ. 1958 წელს (10 დეკემბრის მონაცემებით) 1953 წელთან შედარებით მარცვლეულის დამზადება შეადგენს 191 პროცენტს (აქედან ხორბლისა—231 პროცენტს). შაქრის ჭარხლის დამზადება — 223 პროცენტს. კარტოფილისა — 130, ბოსტნეულისა — 180, მზესუმზირასი — 165, ნედლი ბამბისა — 116, სელის ბოჭკოსი — 209, ხორცისა (ცოცხალი წონით) — 162, აქედან ღორის ხორცისა — 290 პროცენტს, რძისა—205, მატყლისა — 160 და კვერცხის დამზადება 176 პროცენტს.

ბევრად გადიდდა მთელი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. თუ 1949-1953 წლებში საშუალოდ წელიწადში მთლიანმა პროდუქციამ შეადგინა 300 მილიარდ მანეთზე ცოტათი ნაკლები, 1954-1958 წლებში აგრეთვე საშუალოდ წელიწადში — 400 მილიარდ მანეთზე მეტი შესადარ ფასებში.

ამჟამად, როცა ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ სოფლის მეურნეობის განვითარებას ხუთ წელიწადში, ერთხელ კიდევ უნდა ვთქვათ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიულ ჯგუფზე. ენა არ გემორჩილება, რომ ასეთ ადამიანებს ამხანაგები უწოდო. თუმცა ისინი პარტიის წევრებად დარჩნენ, თუ ჩავუფიქრდებით რა გზაზე აყენებდნენ ისინი თავიანთი ფრაქციული მუშაობით პარტიას. ცდილობდნენ რა ჩაეშალათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, გაეწიათ პარტიის ლენინური გენერალური ხაზის რევიზია ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირეულ საკითხებში.

მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგმეს ეს ფრაქციული გამთიშველი ჯგუფი. სოფლის მეურნეობის ახლანდელ წარმატებათა მიხედვით ყოველი საბჭოთა ადამიანი კიდევ უფრო თვალნათლივ ხედავს, რომ ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც მოსწყდა ხალხს, გამოდიოდა მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, ეწეოდა ბრძოლას პარტიის იმ კურსის განხორციელების წინააღმდეგ, რომელიც შეიმუშავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ცენტრალური კომიტეტის წევრებს კარგად ახსოვთ თუ გამთიშველთა ეს ჯგუფი რა გააფთრებით გამოდიოდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის წინააღმდეგ, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ანტიპარტიული ჯგუფი იბრძოდა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ ყამირი მიწების ათვისებაში. ამავე დროს სწორედ ყამირის ათვისების გზით ჩვენმა ქვეყანამ მკვეთრად გაადიდა მარცვლეულის მთლიანი წარმოება და დამზადება, რამაც შესაძლებელი გახადა გაგვეუმჯობესებინა ხალხის კეთილდღეობა, კიდევ უფრო განგვემტკიცებინა ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

ანტიპარტიული ჯგუფი გამოდიოდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის წინააღმდეგ. მაგრამ ხომ სწორედ დაგეგმვის ახალმა წესმა განავითარა მასების შემოქმედებითი ინიციატივა, საშუალება მოგვცა უფრო გონივრულად გამოგვეყენებინა ადგილობრივი შესაძლებლობანი. ამის შედეგად კოლმეურნეობები იმავე მიწებზე ახლა გაცილებით მეტ პროდუქციას იღებენ. ანტიპარტიული ჯგუფი ცდილობდა ჩაეხშო პატრიოტული მოძრაობა, რომელიც დაიწყეს მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის და იმ ამოცანის გადაწყვეტისათვის, რომ უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. ამავე დროს ამ მოძრაობას მხარი დაუჭირა მთელმა ხალხმა და უკვე იძლევა დადებითს შედეგებს. ანტიპარტიული ჯგუფი გამოდიოდა იმის წინააღმდეგ, რომ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი გაგვეთავისუფლებინა ხორცის, რძის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან. ცდილობდა დაეშინებინა ცენტრალური კომიტეტი. თითქოს ასეთი ღონისძიების განხორციელება დაარღვევს ჩვენი ქვეყნის მომარაგებას მეცხოველეობის პროდუქტებით. რა გამოვიდა საქმით? გაათავისუფლა რა კოლმეურნეთა მეურნეობანი სავალდებულო ჩაბარებისაგან, პარტიამ დარაზმა კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობა. ამის შედეგად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება არა თუ არ შემცირებულა, არამედ მნიშვნელოვნადაც გაიზარდა, რამაც სარგებლობა მოუტანა მთელ საბჭოთა ხალხს.

ანტიპარტიული ჯგუფის გამოსვლა პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია კოლმეურნეობათა განმტკიცება და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, მოწმობს, რომ მოლოტოვს, კაგანოვიჩს, მალენკოვსა და სხვებს არ ესმოდათ სოფლის მეურნეობა, ისინი სწორად არ ეკიდებოდნენ გლეხობას, მიაჩნდათ იგი ძალად, რომელიც წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ მშენებლობას. ლენინის შეხედულებათა ამ საწინააღმდეგო ყალბ ხაზს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიმართ პრაქტიკულად მოჰყვა ის ძნელი მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში, რომელიც ჩვენ გვქონდა 1953 წლისათვის.

მართლაც, როგორ შეიძლება შევუთავსოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ინტერესებს წინადადება, რომელიც მოლოტოვმა შემოიტანა, და, მიუხედავად წინააღმდეგობისა მიაღწია იმას, რომ იგი მიღებული იყო, იმის შესახებ, რომ თითოეულ ოლქს უზრუნველეყო თავისი თავი საკუთარი კარტოფილით.

განა შეიძლებოდა იმ პირობებში საკითხის ასე დაყენება? იმისათვის, რომ, მაგალითად, უზრუნველგვეყო მოსკოვი და ლენინგრადი კარტოფილით მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების კოლმეურნეობათა ხარჯზე, საჭირო იყო მკვეთრად გაგვიდიდებინა კარტოფილის ნათესი ფართობი. ხოლო რას ნიშნავდა ეს კოლმეურნეობებისათვის? თუ გავითვალისწინებთ, რომ კარტოფილს მაშინ ვამზადებდით 2,5-3 კაპიკად კილოგრამს, ძნელი არ არის დავინახოთ, რა მოჰყვებოდა მოლოტოვის წინადადებას. მას მოჰყვებოდა კოლმეურნეობათა ძირის გამოთხრა. ასეთ პირობებში, რაც მეტს აბარებდა კოლმეურნეობა კარტოფილს, მით უფრო მეტად ჩანაგდებოდა, რადგან არა თუ ინაზღაურებდა ხარჯებს მის წარმოებაზე, არამედ სახელმწიფოსათვის რომ ჩაებარებინა. ამ კარტოფილის გადასაზიდად საჭირო იყო გამოენახა სახსრები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში. სხვა დარგები კი აგრეთვე თავმინებებულ მდგომარეობაში იყო. ამრიგად, ეს კოლმეურნეობებს გაუმეტებლად გაჩანაგებას.

ან აიღეთ მოლოტოვის მეორე წინადადება — სოფლად სესხის თანხის გადიდების შესახებ. იგი ამ წინადადებას იმით ასაბუთებდა, რომ კოლმეურნეები ნაკლებად მონაწილეობენ სესხზე ხელმოწერაში. ხელს აწერენ მცირე თანხაზე, ნაკლებზე, ვიდრე ქალაქებში, და მოლოტოვმა აგრეთვე მიაღწია ამ წინადადების მიღებას. სესხის თანხის გადიდება, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტდა სახსრების გამოძებნის ამოცანას, მაგრამ იგი აუარესებდა პოლიტიკურ განწყობილებას, კოლმეურნეებს აჯერებდნენ ხელი მოეწერათ სესხზე, მათ კი შეესაძლებლობა არ ჰქონდათ ეს გაეკეთებინათ უაღრესად მცირე შემოსავლის გამო კოლმეურნეობებში. შეტანილი იყო ბევრი სხვა წინადადებაც, რომლებიც სინამდვილეში ძირს უთხრიდნენ სოფლის მეურნეობას.

ახლა ყველა ხედავს, რა სამარცხვინოდ ჩაიფუშა უბადრუკ ფრაქციონერთა ეს საზიზღარი ჯგუფი, რომელიც ამხილა და გაანადგურა ცენტრალურმა კომიტეტმა, უკუაგდეს პარტიამ და ხალხმა.

წარმატებით ხორციელდება ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა. მათ, ჭეშმარიტად, რევოლუციური მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ ახასიათებს მიწათმოქმედების აღმავლობას და მარცვლეულის წარმოების გადიდებას. მარცვლეულის პრობლემის გადაუჭრელად არ შეიძლებოდა უზრუნველგვეყო ჩვენი მოთხოვნილება პურზე, არ შეიძლებოდა მიგვეღწია მეცხოველეობის აღმავლობისათვის და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებისათვის.

ფაქტიურად მარცვლეულის წარმოების მხრივ ჩვენი ქვეყანა დიდხანს იყო იმ დონეზე, რომელიც ჰქონდა რევოლუციამდელ რუსეთს.

იცოდნენ თუ არა ჩვენს ქვეყანაში პურის ნაკლებობის შესახებ იმათ, ვინც პასუხს აგებდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, კერძოდ მალენკოვმა? უეჭველია. მათ იცოდნენ ამის შესახებ. მაგრამ ფაქტების საწინააღმდეგოდ მალენკოვმა 1952 წელს პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 8 მილიარდი ფუთი და რომ ახლა მარცვლეულის პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილიაო.

სინამდვილეში მარცვლეულის წარმოების მდგომარეობა სხვანაირი იყო. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იმ პერიოდისათვის მოსავლიანობის მხრივ საუკეთესო 1952 წელსაც კი აიღეს არა 8 მილიარდი, არამედ მხოლოდ 5.6 მილიარდი ფუთი მარცვლეული. განცხადება 8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის აღების შესახებ იყო მხოლოდ თვალთმაქცობა, პარტიისა და ხალხის მოტყუება და მიზნად ისახავდა დაემალა დიდი ხარვეზები სოფლის მეურნეობაში, რომლის ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა მალენკოვს.

საჭირო იყო უაღრესად გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობისათვის. ეს ღონისძიებანი შეიმუშავა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მთავარი მათგანი იყო:

ჯერ ერთი, დიდძალი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება ციმბირში, ყაზახეთსა და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში;

მეორე, სიმინდის ნათესების გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება, ამ კულტურის გავრცელება ახალ რაიონებში; სათესი ფართობების სტრუქტურის გადასინჯვა იმ ანგარიშით, რომ მცირემოსავლიანი კულტურები შეცვლილიყო უფრო მოსავლიანი მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით;

მესამე, ძველნახნავ მიწებზე მარცვლეულის მოსავლის გადიდება მოსავლიანობის გადიდებისა და დანაკარგის შემცირების გზით.

ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დიდი ცვლილებანი მოხდა მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში.

განვლილ ხუთ წელიწადში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი გადიდდა 18.5 მილიონი ჰექტარით, ანუ 17 პროცენტით. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი 3 მილიარდ 472 მილიონი ფუთით, ანუ 69 პროცენტით, ხოლო პური დამზადებულია 1958 წელს 84 პროცენტით მეტი, ვიდრე დამზადებული იყო 1953 წლის მოსავლისა. სულ მიმდინარე წელს სახელმწიფომ დაამზადა 3,5 მილიარდი ფუთი მარცვლეული, რაც პარტიისა და ხალხის თვალსაჩინო გამარჯვებაა კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში. ასეთი რაოდენობის პური ჩვენს ქვეყანას თავის ისტორიაში არასოდეს არ ჰქონია.

მარცვლეულის წარმოების გადიდების გადამწყვეტი პირობა იყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. სამი წლის განმავლობაში ციმბირის, ყაზახეთის, ვოლგისპირეთისა და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მთელი ხალხის აქტიური მხარდაჭერით დაამუშავეს 36 მილიონი ჰექტარი ყამირი.

როცა ყამირის ათვისების იდეა წარმოიშვა, მოლოტოვი და ანტიპარტიული ჯგუფის სხვა მონაწილენი, რომლებიც პარტიისა და სახელმწიფოს ამ ღონისძიების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ყამირის ასათვისებლად გაწეული ხარჯები ვერ ანაზღაურდებოდა და ეს საქმე ეკონომიურად

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში — და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაზრდის ამოცანები

შინაარსი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(გაგრძელება)

თითქოს არახელსაყრელია. განვლილმა წლებმა გაბათილეს ეს მოჩმახული მტკიცებანი და ცხადყვეს, რომ სახელმწიფომ ყოველმხრივი ეკონომიური სარგებლობა მიიღო ყამირის ათვისების შედეგად.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1954-1958 წლებში სახელმწიფომ ყამირი მიწების ასათვისებლად დაახარჯა 30 მილიარდ 700 მილიონი მანეთი. ამავე პერიოდში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში პურის სასაქონლო პროდუქციის ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შემოვიდა 48 მილიარდ 900 მილიონი მანეთი. თუ ამ თანხას გამოვაკლებთ ყამირი მიწების ასათვისებლად გაწეულ ზემოაღნიშნულ ხარჯებს, მივიღებთ, რომ სახელმწიფომ არა მარტო დაფარა ეს დაბანდებანი, არამედ ამასთანავე მის გადამეტებით მიიღო აღნიშნულ პერიოდში 18 მილიარდ მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი.

პარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მეურნეობა დაყენებულია მტკიცე საფუძველზე.

მიწათმოქმედებაში მთავარი ხაზი უახლოესი წლებისათვის კვლავაც რჩება მარცვლეულის, როგორც მთელი სოფლის მეურნეობის საფუძვლის, წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება, ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. გამოანგარიშებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის საჭიროა გვექნეს დაახლოებით 10-11 მილიარდი ფუთი პური.

იბადება კითხვა: რა წყაროებით შეგვიძლია გავადიდოთ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი კიდევ 2-3 მილიარდი ფუთით?

მარცვლეულის მოსავლის გადიდების მთავარი და გადამწყვეტი წყაროა თანამედროვე პირობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებაა.

იმისათვის, რომ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გადიდდეს 10-11 მილიარდ ფუთამდე, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეულის ნათესის თითოეულ ჰექტარზე უნდა მიიღონ დაახლოებით 3-4 ცენტნერით მეტი. ვიდრე ისინი ახლა იღებენ. ამისათვის საჭიროა განვახორციელოთ რიგი გადაუდებელი ღონისძიებანი: მტკიცედ დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების ვადები; უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში შემოვიღოთ სწორი თესლბრუნვები; კარგად მოვაწყოთ სათესლე საქმე; სერიოზულად მოვიფიქროთ მარცვლეულის ნათესთა სასუქის საქმე.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების ზრდაზე. ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში გააფართოეს ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების ნათესები, გაადიდეს მთლიანი მოსავალი და სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობა. მაგალითად, შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი 1953 წელთან შედარებით თითქმის მილიონი ჰექტარით გადიდდა. მნიშვნელოვნად გადიდდა მისი მთლიანი წარმოებაც. თუ 1949-1953 წლებში ჭარხლის მოსავალი საშუალოდ წელიწადში 21 მილიონ ტონას შეადგენდა, მიმდინარე წელს შეადგენს 54,1 მილიონ ტონას, ანუ ერთიორად და მეტად გადააჭარბა 1953 წლის მოსავალს. მაგრამ ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ წინ, რათა უახლოეს წლებში ნათესი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის გზით გავადიდოთ ჭარხლის წარმოება სულ ცოტა 70-78 მილიონ ტონამდე, რათა ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს 9-10 მილიონი ტონა შაქარი.

უკანასკნელ წლებში მებამბეობაში აგრეთვე არის გარკვეული მიღწევები. თუ ნედლი ბამბის საშუალო წლიური წარმოება 1949 წლიდან 1953 წლამდე პეროდში შეადგენდა 3 მილიონ 487 ათას ტონას, 1954-1958 წლებში ნედლი ბამბის წარმოებამ მიაღწია 4 მილიონ 204 ათას ტონას, ანუ 717 ათასი ტონით მეტია. საბჭოთა კავშირის წარმატებანი მებამბეობის განვითარებაში უდავოა. ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ბამბის მოსავლიანობის მიხედვით. რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით ბამბის წარმოება სსრ კავშირში ექვსჯერ გადიდდა. ბამბის მოსავალი ჰექტარზე საბჭოთა კავშირში ერთნახევარჯერ მეტია. ვიდრე ბამბის მოსავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაგრამ არ შეიძლება მიღწეულს დავჯერდეთ. ჩვენ შვიდწლედში ბამბის წარმოება 5,7-6,1 მილიონ ტონამდე უნდა გავადიდოთ. რა წყაროებით შეუძლიათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უზრუნველყონ ბამბის მთლიანი მოსავლის ზრდა? უმთავრესად მოსავლიანობის გადიდებით.

განვლილ წლებში ჩვენმა ქვეყანამ დაძლია ჩამორჩენა სელისა და კანაფის წარმოებაში. უკანასკნელ ხუთწლედში სელის ბოჭკოს და კანაფის დამზადება წინა ხუთწლედთან შედარებით ერთიორად გადიდდა.

ჩვენ შემდგომ უნდა გავადიდოთ სელისა და კანაფის წარმოება და შევამციროთ მათი თვითღირებულება.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს ზეთოვანი კულტურების წარმოება. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ზეთოვანი კულტურების მოსავალმა საშუალოდ წელიწადში შეადგინა 3 მილიონ 700 ათასი ტონა, ანუ 45 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მიღწეული მზესუმზირას მოყვანაში. იმავე სათეს ფართობებზე, რაც ხუთი წლის წინათ იყო, ჩვენმა ქვეყანამ მიმდინარე წელს მიიღო 4 მილიონ 540 ათასი ტონა. ნაცვლად 1953 წელს მიღებული 2 მილიონ 630 ათასი ტონისა. მაგრამ ჩვენ კვლავაც უნდა გავადიდოთ მზესუმზირას წარმოება, გავაფართოოთ მისი ნათესები, გავადიდოთ მოსავლიანობა.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გაიზარდა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. თუ მხედველობაში მივიღებთ საქმის რიცხობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქების მოთხოვნილება ბოსტნეულსა და კარტოფილზე ძირითადად კმაყოფილდება. მაგრამ ამ პროდუქტების თვითღირებულება კვლავ მაღალი რჩება. მათი ხარისხი კი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

ახლა. სოფლის მეურნეობის აღმავლობის პირობებში. საჭიროა ახლებურად მივუდგეთ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების ორგანიზაციას, უარი ვთქვათ ნათესების გაუმართლებელ დაქსაქსვაზე, თავი მოვუყაროთ მათ მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ უხვად იაფი მაღალხარისხოვანი ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში.

არსებითი ცვლილებები ხდება მებაღეობის განვითარებაში. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გაშენებულია 1 მილიონ 200 ათასი ჰექტარი საერთო ფართობის ახალი ბაღები და ვენახები. ჩვენ კვლავაც უნდა განვავითაროთ მებაღეობა, მევენახეობა, ციტრუსებისა და ჩაის წარმოება, რათა საკმარისად უზრუნველვყოთ მშრომელები ხილით, ყურძნით და სხვა პროდუქტებით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სექტემბრის პლენუმზე პირდაპირ და აშკარად აღიარა, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე მიტოვებული დარგია მეცხოველეობა, რომ მეცხოველეობის აღმავლობის მომწიფებულ ღონისძიებათა განხორციელება პარტიისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა გახდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ მეცხოველეობის ჩამორჩენა აღმოჩენილი იყო მხოლოდ 1953 წლის შემოდგომაზე, როცა შეიკრიბა სექტემბრის პლენუმი. მეცხოველეობა ჩვენში ჩამორჩენილი იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე.

მიუხედავად ამ ფაქტის სიცხადისა, მეცხოველეობის ჩამორჩენას დუმილით უვლიდა გვერდს ბევრი მუშაკი, მათ შორის ისინიც, ვისაც დიდი პარტიული და სახელმწიფო პოსტები ეკავათ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთ საჯარო გამოსვლებში ხშირად აცხადებდნენ, რომ ჩვენი მეცხოველეობა აღმავლობის გზით მიდის, ასეთი ბაქიობით საზოგადოებრივი მეცხოველეობა წარმატებით ვერ განვითარდებოდა და წინ ვერ წავიდოდა. წლითიწლობით ეს სულ უფრო მწვავედ იგრძნობოდა.

1949 წელს, როცა მეცხოველეობის ჩამორჩენას სრულიად შეუწყნარებელი ხასიათი მიეცა, მიღებულ იქნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. როგორც ცნობილია, ამ გეგმის ბედი სახარბიელო არ აღმოჩნდა — იგი ვერ შესრულდა და მეცხოველეობის ჩამორჩენა კვლავ ღრმავდებოდა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, თუ რა მიზეზებით აიხსნება ამ გეგმის წარუმატებლობა, მისი ჩაფუშვა.

კოლმეურნეობებში ძროხების დაბალი პროდუქტიულობისა და სულადობის ნელი ზრდის შედეგად რძის საერთო პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში სამი წლის მანძილზე გაიზარდა მხოლოდ 2,8 მილიონი ტონით, ანუ 8 პროცენტით. რაც შეეხება ხორცის წარმოებას, იგი სამი წლის მანძილზე უმნიშვნელოდ გადიდდა და ისიც უმთავრესად პირუტყვის ძირითადი სულადობის ნაწილის დაკვლის ხარჯზე.

უნდა ითქვას, რომ სექტემბრის პლენუმამდე ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო მიეღო მეცხოველეობის აღმავლობის ჯეროვანი ღონისძიებანი, ამას უწინარეს ყოვლისა ხელს უშლიდა პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტერი ბერია. ამ საქმეში უკანასკნელ როლს როდი ასრულებდნენ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი. სიტყვით მოითხოვდნენ რა მეცხოველეობის აღმავლობას, ისინი საქმით ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა არ დაეშვათ ამ დარგში მომწიფებულ ღონისძიებათა განხორციელება და ამრიგად ჩაშალათ საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა პირველად მრავალი წლის მანძილზე დასახეს მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის გზა. მკაცრად, ულმობლად გააკრიტიკა რა შეცდომები და ნაკლოვანებანი მეცხოველეობის ხელმძღვანელობაში, პლენუმი ახლებურად მიუდგა სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ისინი განხილულ იქნა მეცხოველეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებთან, სოფლის მეურნეობის აღმავლობის და უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის წარმოების გადიდების საერთო პრობლემასთან განუყოფელი კავშირით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა მეცხოველეობის განვითარების ძირეული, ყველაზე მწვავე საკითხები.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს მოჰყავს მონაცემები მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების ზრდის შესახებ ხუთ წელიწადში. ხორცის წარმოება საკლავი წონით 1958 წელს 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 2 მილიონ 100 ათასი ტონით, ანუ 35 პროცენტით, რძისა — 21 მილიონ 300 ათასი ტონით, ანუ 58 პროცენტით, მატყლისა — 86 ათასი ტონით, ანუ 37 პროცენტით, კვერცხისა — 7 მილიარდ 400 მილიონი ცალით, ანუ 46 პროცენტით.

ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის წარმოების მნიშვნელოვანმა ზრდამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ გადიდებულიყო მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება. 1958 წლის 10 დეკემბრისათვის რძის დამზადება 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, ხორცისა — 62 პროცენტით, მატყლისა — 60 პროცენტით და კვერცხისა 76 პროცენტით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდასთან ერთად უკანასკნელ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა. 1958 წელს 1953 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 24 პროცენტით (აქედან ძროხისა — 28 პროცენტით), ღორისა — 41 პროცენტით და ცხვრისა — 29 პროცენტით.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის განვითარების დარგში, აღნიშნავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. 4-5 წლის განმავლობაში განხორციელდა ნამდვილად დიდი ნახტომი მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების გადიდებაში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლა საჭიროა დავძაბოთ ძალღონე იმისათვის. რომ უმოკლეს ვადაში შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების სრული საკმარისობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საფუძველზე.

ამასთან ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე გადაუდებელი ამოცანა, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ უსწრაფესად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მთელი მოთხოვნილება ხორცზე. საკონტროლო ციფრებში დასახულია, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხორცის წარმოების ზრდა 1965 წელს 16 მილიონ ტონამდე. ეს სერიოზული ამოცანაა და იგი ისეთივე სიმტკიცით, ისეთივე აღმავლობითია და გაქანებით უნდა გადავწყვიტოთ, როგორც სულ ამ ცოტა ხნის წინათ პარტია და ხალხი იბრძოდნენ ყამირის გასატეხად, უნდა განვახორციელოთ ისეთივე მიზანსწრაფულობით, როგორც ხორციელდებოდა რძის წარმოების გადიდების ღონისძიებანი.

ახლა, როცა ასეთი მნიშვნელობა ენიჭება ხორცის წარმოებას, სწორი იქნება ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი მეცხოველეობის განვითარებაში შეფასოთ უწინარეს ყოვლისა ხორცის წარმოების დონის მიხედვით.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ ეხება ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ზოგიერთ რეზერვს.

მეცხოველეობის პრობლემა ყოველთვის იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა. ფაქტები მოწმობენ, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენმა პარტიამ შეძლო გამოენახა ამ პრობლემის გადაწყვეტის მთავარი საშუალება. ჩვენ არა მარტო მოვსპეთ მეცხოველეობის ქრონიკული ჩამორჩენა, არამედ გამოვიყვანეთ კიდევაც იგი აღმავლობის გზაზე.

მაგრამ საზიანო იქნებოდა გადაჭარბებით შეგვეფასებინა მიღწეული. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის აღმავლობისათვის ნამდვილი ბრძოლა ჯერ კიდევ ჩაღდება, რომ ეს პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა ადამიანები უხვად მიიღებენ მეცხოველეობის დიდად საჭირო პროდუქტებს კვებისათვის. ხოლო მრეწველობა საჭირო ნედლეულს მიიღებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის წარმოებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად ღირს ვიშრომოთ!

აწყობს რა ბრძოლას სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მეურნეობების განვითარებას. ამასთან იგი ხელმძღვანელობს ლენინური დებულებით საბჭოთა მეურნეობებისა და მათი რევოლუციური როლის მნიშვნელობის შესახებ სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში. ლენინს ეკუთვნის პირველი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის იდეა და მათი ორგანიზაციის პრინციპების შემუშავება.

უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში, 1953 წლამდე, საბჭოთა მეურნეობებს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, მათი წარმოების დონე მეტად დაბალი რჩებოდა. გადაჭრით დაგმო რა პარტიის პოლიტიკის დამახინჯება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში, ცენტრალურმა კომიტეტმა გადაუდებელი ღონისძიებანი განახორციელა საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ამის შედეგად ჩვენ გვაქვს საბჭოთა მეურნეობების წარმოების სერიოზული აღმავლობა. განვლილ ხუთ წელიწადში შეიქმნა ასობით ახალი დიდი საბჭოთა მეურნეობა. ახლა ჩვენს ქვეყანაში არის 6 ათასი საბჭოთა მეურნეობა. მათ აქვთ 168 მილიონი ჰექტარი მიწა, აქედან 58 მილიონი ჰექტარი საყანე, და აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვან ნაწილს.

საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა მეურნეობებმა უმაგალითო მოკლე ვადაში აითვისეს 14 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები. ამან ბევრად აამაღლა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა საქონლური მარცვლეულის წარმოებაში. თუ 1953 წელს მათ ჩააბარეს მხოლოდ 225 მილიონი ფუთი პური, წელს ჩააბარეს 1 მილიარდ 371 მილიონი ფუთი, ანუ ჩვენი ქვეყნის საერთო დამზადების დაახლოებით 40 პროცენტი.

შვიდწლიანი გეგმის პროექტით საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია სასაქონლო პროდუქციის წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდების ახალი დიდი ამოცანები. საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვა 1965 წელს 1957 წელთან შედარებით 2-2,5-ჯერ გადიდდება, ხოლო შაქრის ჭარხლისა 4-ჯერ და მეტად. 1965 წელს საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საერთო მოცულობაში ჩვენს ქვეყანაში შეადგენს: მარცვლეულისა — დაახლოებით 40 პროცენტს. ხორცისა — 32, რძისა — დაახლოებით 26 პროცენტს და მატყლისა — დაახლოებით ერთ მესამედს.

ამ პროგრამის განხორციელება მოითხოვს, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშაობა უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ. უწინარეს ყოვლისა საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკის ყურადღება უნდა მივაპყროთ ეკონომიისა და მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების ყოველი ღონისძიებით შემცირების საკითხებს, რათა რენტაბელური გავხადოთ საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგი.

საბჭოთა მეურნეობები კვლავაც უნდა იყოს მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაძღოლის მაგალითი. უნდა იყოს ნიმუში კოლმეურნეობებისათვის მათ ბრძოლაში მიწისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ემყარება რა სოციალისტურ ინდუსტრიას, მუშათა კლასის აქტიურ მხარდაჭერას, განაგრძობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, პარტიამ გააჩაღა გიგანტური მუშაობა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად. უკანასკნელ ხუთ წელიწადში სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში, საწარმოო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობაში დაბანდა 97 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ თითქმის 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში, და 50 პროცენტით მეტი, ვიდრე მეორე, მესამე, მეოთხე ხუთწლედებში და მეხუთე ხუთწლედის სამ წელიწადში ერთად. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა თვითონ დახარჯეს ტექნიკის შეძენასა და მშენებლობაზე 103 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 44 მილიარდი მანეთისა წინა ხუთწლედში.

ენერგეტიკული სიმძლავრენი სოფლის მეურნეობაში განვლილი ხუთი წლის მანძილზე ერთნახევარჯერ გაიზარდა. ახლა ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას აქვს 1 მილიონ 700 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით) დაახლოებით 700 ათასი სატვირთო ავტომობილი, 500 ათასი მარცვლეულის კომბაინი. 120 ათასი სილოსის ასაღები კომბაინი და მილიონობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. სოფლის მეურნეობის აღჭურვამ თანამედროვე მანქანური ტექნიკით შეამსუბუქა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომა, გაადიდა მისი ნაყოფიერება.

დღემდე ჩვენი მრეწველობის ღონისძიებანი ხმარდებოდა იმას, რომ სოფლის მეურნეობისათვის მიეცა რაც შეიძლება მეტი ტრაქტორი და კომბაინი. ახლა ჩვენ არ ვხსნით ახალი, უფრო სრულყოფილი ტრაქტორებით და კომბაინებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი უხრუნველყოფის ამოცანას. მაგრამ მთავარი ახლა ის არის, რომ არ გაგვიტაცოს ტრაქტორებისა და კომბაინების წარმოების გაბერვამ და საკმაო რაოდენობით მოვაწყოთ სოფლის მეურნეობისათვის უაღრესად საჭირო სხვა მანქანების და უწინარეს ყოვლისა ისეთი მანქანების გამოშვება, რომელთა გამოყენება გაათავისუფლებს ბევრ ადამიანს მძიმე შრომისაგან და შესაძლებელს გახდის გავაფართოოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მივიღოთ მეტი პროდუქცია ნაკლები ხარჯით.

სოფლის მეურნეობის შემდგომ მექანიზაციაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გარდაქმნა. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის კანონის მიღების შემდეგ ცხრა თვე გავიდა. წელს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სრულდებოდა ახალ პირობებში. და ახლა შეიძლება გავაკეთოთ უკვე გარკვეული დასკვნები.

ეს დასკვნები მოწმობენ, რომ მტს-ების რეორგანიზაციისა და ერთ ხელში, კოლმეურნეობათა ხელში, იარაღებისა და შრომის საშუალებათა გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის უსწრაფესად შექმნისათვის. ეკონომიურად განმტკიცებულ კოლმეურნეობებს უკვე ძალუძთ არა მარტო იყიდონ ტექნიკა, არამედ უნარიანადაც გამოიყენონ იგი. ამჟამად მტს-ების დაახლოებით 80 პროცენტი რეორგანიზებულია სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად. 55 ათასზე მეტმა კოლმეურნეობამ, ანუ 81 პროცენტმა, იყიდა 21 მილიარდ მანეთზე მეტი თანხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

კოლმეურნეობებში მოგზაურობის დროს მე არც ერთხელ არ გამიგონია, რომ კოლმეურნეობათა ხელში ტექნიკის გადასვლის შემდეგ მისი გამოყენება გაუარესებულიყოს. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და კოლმეურნეები ამბობენ, რომ ახლა მუშაობა უკეთესია და საქმეც უფრო წარმატებით მიდის.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ განსახილველად აყენებს მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ეხება სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს და დარჩენილი მტს-ების შემდგომ ბედს, რომლებიც ჯერ კიდევ მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობათა ნაწილს. საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში, საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობაში მოპოვებულ დიდ წარმატებებს მოყვა კოლმეურნეობათა შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება. თუ ფულადი შემოსავლის საერთო თანხა კოლმეურნეობებში 1952 წელს შეადგენდა 42,8 მილიარდ მანეთს, 1957 წელს .იგი შეადგენს 95,2 მილიარდ მანეთს.

კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების, მათი შემოსავლის ზრდის საფუძველზე უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. ეს უწინარეს ყოვლისა გამოიხატება შრომადღის ფულადი და ნატურალური ანაზღაურების გადიდებით. შრომადღეების ნატურალური და ფულადი ანაზღაურების ხაერთო თანხა გაიზარდა შესადარ ფასებში 1952 წლის 47 მილიარდ 500 მილიონი მანეთიდან 83 მილიარდ 800 მილიონ მანეთამდე 1957 წელს.

1958 წელს იგი კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, კოლმეურნეები დამატებით მიიღებენ დაახლოებით 3 მილიარდ მანეთს იმის მეოხებით, რომ გაუმჯობესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარება მათი პირადი მეურნეობებიდან. კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1958 წელს 1,6-ჯერ გადიდდება 1952 წელთან შედარებით.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასთან, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებასთან ერთად უეჭველია, კვლავაც გაუმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა, გადიდდება მათი შემოსავალი. ეს არის სოციალისტური ეკონომიკის კანონი.

როცა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების დონის ამაღლებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ კოლმეურნეთა პირად მეურნეობას. პირადი მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან წილს შეადგენს კოლმეურნის ოჯახის ბიუჯეტში. მაგრამ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის კვალობაზე კოლმეურნეთა პირადი მეურნეობა თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას.

უკვე ამჟამად მეურნეობრივად ყველაზე ღონიერ კოლმეურნეობები აკმაყოფილებენ კოლმეურნეთა მოთხოვნილებას კარტოფილზე, ბოსტნეულსა და რძეზეც კი.

დადგა დრო, რომ არა მარტო ქალაქში, არამედ კოლმეურნეობებშიც საავადმყოფოებთან, სკოლებთან, საბავშვო ბაღებსა და ბაგებთან ერთად შევქმნათ პური, საცხობები, სამრეცხაოები, აგრეთვე უახლოეს მომავალში საზოგადოებრივი სასადილოებიც.

კოლმეურნეების და განსაკუთრებით კოლმეურნე ქალების საოჯახო მეურნეობაში მცირე მწარმოებლურ შრომისაგან განთავისუფლების საკითხს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმტკიცის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ზრდა. განუყოფელი ფონდები, რომლებსაც კოლმეურნეები მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მონაწილეობით ქმნიან, განსაზღვრავენ ჩვენი კოლმეურნეობების სოციალისტურ ბუნებას. შადგენენ კოოპერაციული სოციალისტური საკუთრების საფუძველს, საკუთრებისა, რომელიც თავის განვითარების კვალობაზე თანდათან უახლოვდება, ხოლო შემდეგ მთლიანადაც შეუერთდება საერთო სახალხო საკუთრებას ერთიან კომუნისტურ საკუთრებად. განუყოფელი ფონდების განმტკიცება და გაფართოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია საკოლმეურნეო, კოოპერაციული საკუთრების საერთო სახალხო საკუთრებად თანდათანობით გადაზრდისათვის. ამასთანავე განუყოფელი ფონდები მოწმობენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამიტომ ზრუნვა განუყოფელი ფონდების შევსებისათვის ყველა კოლმეურნის სასიცოცხლო საქმე უნდა იყოს.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაღიდების ამოცანები

შინაარსი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

როგორც უკვე აღინიშნა, ბევრმა მოწინავე კოლმეურნეობამ საკმაო ძალები და საშუალებანი დააგროვა, რათა დაიწყონ თავიანთი დაბა-სოფლების, ყიშლაღების და აულების გარდაქმნა. ზოგიერთმა მათგანმა უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები კეთილმოწყობილი სოციალისტური სოფლის მშენებლობაში. ყოველივე ამას მხარი უნდა დაუჭირონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში, რომლებიც შეტანილ იქნება პარტიის XXI ყრილობის განსახილველად, დასახულია 1965 წელს 1,7-ჯერ გადიდდეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1958 წელთან შედარებით.

დასახულია შრომის ნაყოფიერება გადიდდეს კოლმეურნეობებში ორჯერ, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 55-60 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი შვიდწლედის განმავლობაში გადიდდება სულ ცოტა 40 პროცენტით, უმთავრესად კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის გზით.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 150 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის ზრდის შედეგად კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდება საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ მსხვილი კაპიტალური დაბანდებანი საკუთარი საშუალებებით. წინასწარი გაანგარიშებით, კოლმეურნეობებს 1959-1965 წლების განმავლობაში შეუძლიათ დახარჯონ საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, სოფლების კეთილმოწყობაზე 250 მილიარდი მანეთი და ტექნიკის შეძენაზე — 95 მილიარდი მანეთი.

ეს ციფრები განსაზღვრავენ ძირითად მიმართულებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომავალი შვიდწლედისათვის. ციფრებში დასახულია სწორი პროპორციები სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში მოსახლეობისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის კვების პროდუქტებსა და სოფლის მეურნეობის ნედლეულზე მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით. ეს ციფრები სავსებით რეალურია, ისინი უნდა მოვიწონოთ და მივიღოთ როგორც საერთო სახელმწიფოებრივი დავალება.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა ითქვას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებებზე. სოფლის მეურნეობის აღმავლობის პირობებში მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობით გაიშალა ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ მოძრაობას მხარი დაუჭირეს პარტიამ და მთელმა ხალხმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ სახავს ამ ამოცანის გადაწყვეტის გზებს.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოაწყონ ახლა გეგმების კონკრეტული შემუშავება თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. სწორედ ასეთი მუშაობა ადგილებზე დაგვეხმარება გამოვავლინოთ და უფრო სრულად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმების შემუშავება თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით უბრალო არითმეტიკა, დავალებათა უბრალო განაწილება კი არ არის, არამედ თითოეული მეურნეობის შესაძლებლობათა, ამ მეურნეობის საქმეთა მდგომარეობის და ხელმძღვანელობის დონის ღრმად შესწავლაა.

საჭიროა მთელი სიმწვავით აღინიშნოთ, რომ დასახული ოდენობით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება უზრუნველყოფილ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდების ბაზაზე.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, ტექნიკური კულტურების, მებაღეობის წარმოება, უმთავრესად გავითვალისწინოთ ზონალური, ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ მთელი ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი მეტი რაოდენობის პროდუქციის მისაღებად შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯით.

ამჟამად ჩვენში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯის დონეში.

შრომის დანახარჯი მარცვლეულის პროდუქციის ერთეულზე კოლმეურნეობებში 1957 წელს უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში: შავნიადაგიანი ზონის რაიონებში — 2,4-ჯერ, ვოლგისპირეთის რაიონებში — 2,6-ჯერ, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში — 3,0-ჯერ, დასავლეთ ციმბირის რაიონებში — 2,2-ჯერ, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 2,2-ჯერ.

ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯი კოლმეურნეობებში იმავე წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში: შავნიადაგიანი ზონის რაიონებში — 1,3-ჯერ, ვოლგისპირეთის რაიონებში — 1,4-ჯერ. ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში—თანაბარი, დასავლეთ ციმბირის რაიონებში — 1,2-ჯერ, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 1,1-ჯერ.

ჩვენი სოციალისტური წყობილების პირობებში ყველა საფუძველი მოგვეპოვება, რომ კოლმეურნეობებში, რომლებსაც თანამედროვე ტექნიკა აქვთ და გამოცდილი კადრები ჰყავთ, წარმოების დონე იმაზე დაბალი არ იქნას, ვიდრე აქვთ მოწინავე საბჭოთა მეურნეობებს.

ახლა დადგა ისეთი პერიოდი, როცა ეკონომიური ურთიერთობა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის არსებითად იცვლება. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის კვალობაზე საჭირო აღარ არის სავალდებულო ჩაბარება, გადასახადის ნაცვლად მოდის პროდუქტების თავისუფალი გაყიდვა და ყიდვა იმ ფასებით, რომლებიც ასახავენ წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების დონეს.

მტს-ების რეორგანიზაციის საკითხებზე, დამზადების ახალი წესისა და ერთიანი ფასების შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ ისინი მოასწავებენ ამ ახალი ეტაპის დაწყებას ეკონომიურ ურთიერთობაში სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის. პროდუქტების თავისუფალი გაყიდვის პრინციპი თანდათან გავრცელდება მეურნეობის ყველა დარგზე.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შემდეგ ლაპარაკობს კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების სისტემის შესახებ და აყენებს ამ სისტემის გაუმჯობესების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების პრაქტიკოსებისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერების დახმარების საკითხს. ეს დახმარება, აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი, ფასდაუდებელია, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენში ჯერ კიდევ არიან სამეცნიერო დაწესებულებანი, მოწყვეტილნი ცხოვრებას, რომლებიც არ წარმოადგენენ მაგალითს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამიტომ უნდა მოვიფიქროთ საკითხი, რომ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკავლევი ინსტიტუტების მუშაკთა შრომის ანაზღაურება დავუკავშიროთ წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის შედეგებს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილმა დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობის წლებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის შეაიარაღეს პარტიული ორგანიზაციები უმდიდრესი გამოცდილებით, ამ პერიოდში სასოფლო პარტიული ორგანიზაციები რიცხობრივად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ. ახლა თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არის სისხლსავსე, აქტიური პარტორგანიზაცია.

მოხსენებაში შემდეგ ხაზგასმით აღნიშნულია რაიონული რგოლის განმტკიცების ამოცანები.

ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის განსახილველად, ამბობს დასასრულ ამხ. ხრუშჩოვი, შემოტანილია საკითხები, რომლებსაც სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებლობისათვის. ხუთი წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე ჩვენმა პარტიამ გაბედულად და მტკიცედ ამხილა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც მაშინ იყო სოფლის მეურნეობაში, შეიმუშავა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის გაშლილი პროგრამა. ეს პროგრამა, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელმა საბჭოთა ხალხმა, წარმატებით ხორციელდება.

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, წარმატებით წყვეტს მომწიფებულ საკითხებს, შეჰყურებს მომავალს და მტკიცედ მიდის წინ. იგი საბჭოთა ხალხის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი იქნება მოწოდება, რომ მოეწყოს საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის პროგრამის განხორციელებისათვის.

თვენახევრის შემდეგ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა განიხილავს და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებს მომავალი შვიდი წლისათვის. ეს იქნება საბჭოთა ხალხის საქმიანობის დიადი პროგრამა, რომელიც მოასწავებს ჩვენი ქვეყნის შესვლას მისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, რომ დღეს, 16 დეკემბერს, მოწვეულია

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეექვსე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეცხრე სესია.

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის პირველი საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 13 დეკემბერს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს მთავრობებს გაუგზავნა ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა ნატოს საბჭოს პარიზის მომავალ სესიასთან დაკავშირებით.

პირები ამ განცხადებისა, რომელიც ქვეყნდება მოსკოვის გაზეთებში, გაეგზავნათ ყველა ქვეყნის მთავრობებს, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სხვა ქვეყნების მთავრობებს.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ, როგორც მოწმობს ნატოს მთელი პრაქტიკული საქმიანობა, იგი წარმოადგენს კარდახშულ სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც უაღრესად მტრულია მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისადმი და რომელიც თავის მონაწილეებს აერთიანებს გამაღებული შეიარაღების, „ცივი ომის“ ყოველი დონისძიებით გაღვივების, სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ძირისგამოთხრის პოლიტიკის პლატფორმაზე.

ნატოს სამხედრო ბლოკი, ნათქვამია განცხადებაში, შეიქმნა საფუძველზე, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან და მიზნებთან და მისმა საქმიანობამ უკვე მიაყენა და კვლავაც აყენებს დიდ ზიანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეს.

ფაქტები მოწმობენ, აღნიშნავს საბჭოთა მთავრობა თავის განცხადებაში, რომ ნატო ომის მომზადების ინსტრუმენტია და რომ მისი ორგანოების მთელი სისტემა მოქმედებს მხლოდ ომის მომზადების გაფართოების მიმართულებით.

როგორც აღნიშნულია განცხადებაში, საბჭოთა კავშირი მიესალმებოდა ნატოს ყოველ ღონისძიებას, ყოველ წინადადებას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მზად იქნებოდა დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ასეთ ღონისძიებებსა და წინადადებებს, მაგრამ ნატოს არც ერთხელ არ გამოუჩენია ამგვარი ინიციატივა. პირიქით, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, ნატოს საბჭოს სესიებს სისტემატურად იყენებენ იმისათვის, რომ მტრულად შეხვდნენ ყოველ წინადადებას, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა.

როგორც საბჭოთა მთავრობა ადასტურებს, ნატოს წრეებში არ მალავენ, რომ პარიზის სესია განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ დაჩქარდეს ამერიკის რაკეტული და ატომგულის იარაღის ბაზების განლაგება ნატოს მონაწილე იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, სადაც ასეთი ბაზები ჯერ არ არის.

პარიზის სესია მოწოდებულია, როგორც ჩანს, დაძლიოს დასავლეთ ევროპის ამ ქვეყნების წინააღმდეგობა იმ გეგმებისადმი, რომ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ იქნას ამერიკის რაკეტულ-ატომგულის იარაღის ბაზები.

საბჭოთა მთავრობას თავის განცხადებაში საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიაქციოს ყურადღება იმ სერიოზულ შედეგებს, რომლებსაც დაუკავშირდებოდა იმ გეგმების განხორციელება, რომ ნატოს წევრ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნას ამერიკის რაკეტული და ატომგულის იარაღის ბაზები.

იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება აგრესიის ცდები სსრ კავშირისა და მისი მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ნათქვამია განცხადებაში, სამხედრო საჭიროების გამო აუცილებელი გახდება საპასუხო დარტყმის მიყენება ნატოს რაკეტულ-ატომგულის იარაღის ბაზებზე.

ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ურიგდებიან ასეთი ბაზების განლაგებას თავიანთ ტერიტორიებზე, მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებენ თავისთავს, იგივე შეეხება კანადასაც, რომელიც დათანხმდა შეიქმნას ამერიკის რაკეტული დანადგარებისა და ატომგულის მუხტების საწყობების ფართო ქსელი.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თანხმობა განლაგებულ იქნას ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზები, მოასწავებს საბედისწერო ნაბიჯს, რომელიც ბევრად აახლოებს რაკეტულ-ატომური ომის დაწყების საფრთხეს. ტექნიკის განვითარებამ, აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, სამუდამოდ მოუღო ბოლო ზოგიერთი სახელმწიფოს მიუწვდომლობას. განცხადება აღნიშნავს იმის განსაკუთრებულ საფრთხეს, რომელიც იქმნება უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიისათვის ატომგულის იარაღის გადაცემის გამო.

ეხება რა ეგრეთწოდებული „ნატოს ბალტიის სარდლობის“ შექმნის გეგმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანია დაემორჩილოს დასავლეთ გერმანიის სამხედრო გეგმებს, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი მომზრეა მოვლენათა სხვა განვითარებისა ამ რაიონში. სსრ კავშირი სავსებით უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის გამოსვლებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ბალტიის ზღვა გადაიქცეს მშვიდობის ზონად. მაგრამ, ნათქვამია განცხადებაში, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ბალტიის ზღვის სხვა სანაპირო სახელმწიფოები, ვერ შეძლებს არ მიიღოს მხედველობაში ნატოს აღნიშნული სამხედრო სამზადისი.

ამხილებს რა დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური მოღვაწეების მტკიცებას, თითქოს ნატო თანდათანობით კარგავდეს წმინდა სამხედრო ბლოკის სახეს და სულ უფრო მეტად ხდებოდეს „თანასწორუფლებიანი პოლიტიკური თანამშრომლობის“ ორგანო, განცხადება ხაზს უსვამს, რომ ასეთი მტკიცება ნაგარაუდევია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ფართო საზოგადოებრივი წრეები, რომლებიც შეშფოთებული არიან ამ ბლოკის სამხედრო მზადებით.

ნატო, ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, სულ უფრო იმკვიდრებს საერთაშორისო ჟანდარმის როლს, რომელიც მოწოდებულია ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ „ცივი ომის“ იდეოლოგების ცდები ჩაიგონონ ხალხებს არაბუნებრივი აზრი, თითქოს კაცობრიობის წინაშე არ იყოს სხვა გზა, გარდა გამანადგურებელი ატომური ომისა, განწირულია დასამარცხებლად. სსრ კავშირის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ სავსებით შესაძლებელი და საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარება სახელმწიფოთა შორის შეთანხმების, ატომგულის ბომბებისა და რაკეტების წარმოებაში ახლანდელი შეჯიბრების შეჩერებისა და ყველა ქვეყანას შორის ბუნებრივი მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების გზით.

ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის განცხადება შეიცავს სამ წინადადებას.

პირველი — ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს შორის დაიდოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, როგორც ამის წინადადება უკვე ოფიციალურად შეიტანეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა.

საბჭოთა მთავრობის წინადადებაა შეთანხმდნენ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკისა და ვარშავის ხელშეკრულებათა ტექსტებში შეტანილ იქნეს დებულება, რომელიც გაითვალისწინებს, რომ ამ ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოები არ გაუწევენ აგრესორს სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას, ან მორალურ მხარდაჭერას.

მეორე — შეთანხმდნენ უახლოეს ხანში, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომგულისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა პოლონეთის მთავრობის წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც ბევრ რამეში ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნებში გამოთქმულ მოსაზრებებს.

მესამე — დაიწყოს უცხოეთის ჯარების შეთანხმებული შემცირება ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ტერიტორიაზე, თავდაპირველად თუნდაც მცირე მასშტაბით.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია უახლოეს ხანში მოწვესრიგდეს ბერლინის საკითხი, რომლის უცხოელების მიერ ოკუპაცია საერთაშორისო დაძაბულობის სერიოზული წყაროა. ბერლინის საკითხის გადაჭრის შესაფერისი საფუძველის სახით არის წინადადება — დაწესდეს დასავლეთ ბერლინისათვის დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუსი.

პოლონელი ხალხი სოციალიზმისათვის ბრძოლაში

პოლონეთის კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის გამო

ორმოცი წლის წინათ, 1918 წლის 16 დეკემბერს, ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა პოლონეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში — დაარსდა პოლონეთის კომუნისტური პარტია (1925 წლამდე მას ეწოდებოდა პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია). პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის დღე ღირსსახსოვარი თარიღია, რომელიც ძვირფასია არა მარტო პოლონელი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხებისათვის, რომლებიც პოლონელ ხალხთან დაკავშირებული არიან ურღვევი რევოლუციური კავშირით, რომელიც დასაბამს იღებს საერთო მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლონელ და რუს მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის პერიოდიდან.

რსდმპ-ში 1906 წლიდან ავტონომიურ ტერიტორიულ ორგანიზაციად შედიოდა პოლონეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი წინამორბედი — პოლონეთის სამეფოს და ლიტვის სოციალ-დემოკრატია. დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ყველა სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც კომუნისტური პარტიები წარმოიშვებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების გათიშვის შედეგად, პოლონეთში კომუნისტური პარტია შეიქმნა ორი პარტიის — პოლონეთის სამეფოს და ლიტვის რევოლუციური და ინტერნაციონალისტური სოციალ-დემოკრატიისა და მასთან დაახლოებული პოლონეთის სოციალისტური პარტიის — ლევიცას (პოლონეთის სოციალისტური პარტია — ლევიცა) გაერთიანების საფუძველზე. ვ. ი. ლენინი სავსებით დამსახურებულად მოაკუთვნებდა პოლონეთის სამეფოს და ლიტვის სოციალ-დემოკრატიას „საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო რევოლუციურ და ინტერნაციონალისტურ ელემენტებს“. (თხზ. ტ. 22, გვ. 442-443). მის რიგებში გაიზარდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ როზა ლუქსემბურგი, იულიან მარხლევსკი, ფელიქს ძერჟინსკი და სხვები. პოლონეთის სამეფოს და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთელი ისტორია ვითარდებოდა გაფფურებულ და შეურიგებელ ბრძოლაში რეფორმიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ პოლონეთის მუშათა მოძრაობაში.

პოლონეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობა დაიწყო უშუალოდ მას შემდეგ, რაც პოლონეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. პოლონელ მუშათა და გლეხთა მოწინავე ნაწილი, რომლებიც ცოცხლად ეხმაურებოდნენ ოქტომბრის დიდ მოწოდებებს, ისწრაფოდა დაემყარებინა დამოუკიდებელ პოლონეთში მშრომელი ხალხის ხელისუფლება. ახალგაზრდა კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა ბრძოლას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნისათვის, პოლონეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზიამ შემთანხმებელთა პარტიებისა და უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით 1919 წლის ზაფხულისათვის სავსებით გაანადგურა საბჭოები პოლონეთში, იატაკქვეშ ჩაადო პოლონეთის კომუნისტური პარტია და დროებით განმტკიცა ბატონობა.

იატაკქვეშეთის რთულ პირობებში პოლონეთის კომუნისტური პარტია განაგრძობდა ბრძოლას. მდიდრდებოდა რა რევოლუციური გამოცდილებით, ითვალისწინებდა რა კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი მოწინავე რაზმის — ჩვენი სამშობლოს კომუნისტური პარტიის რჩევა-დარიგებას, პოლონეთის კომუნისტური პარტია ხდებოდა ახალი, ლენინური ტიპის ნამდვილი პარტია.

როცა 1933 წელს გერმანიაში ჰიტლერის დიქტატურა დამყარდა, პოლონეთის კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტია აღმოჩნდა პოლონეთში, რომელმაც გამოიცნო პოლონეთისათვის მოვლენილი მომაკვდინებელი საფრთხე. პოლონეთის ხსნა, ამბობდნენ კომუნისტები, სსრ კავშირთან თანამშრომლობისა და კავშირის პოლიტიკაა. პოლონეთის კომუნისტური პარტია გახდა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი მძლავრი ანტიფაშისტური, ანტიჰიტლერული მოძრაობისა, რომელმაც ხალხის ფართო წრეები მოიცვა.

1938 წლის ზაფხულის დასაწყისში პოლონეთის კომუნისტურმა პარტიამ როგორც ორგანიზებულმა მთლიანობამ შეწყვიტა არსებობა. იმის გამო, რომ იმ პერიოდში კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას დაებადა ეჭვი, თითქოს პოლონეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი პარტიული აქტივის რიგებში შეაღწია მტრის აგენტურა, კომინტერნის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის კომუნისტური პარტიის დროებით დაშლის შესახებ. შემდეგში გამოირკვა, რომ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდო პროვოკატორთა მიერ შეთითხნილი მასალები. როგორც აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების განცხადებაში, რომელიც 1956 წლის 23 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“, პოლონეთის კომუნისტური პარტიის დაშლა დაუსაბუთებელი იყო.

პოლონელმა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, პოლონეთის კომუნისტური პარტიის დაშლის შემდეგაც შეინარჩუნეს ურყევი ერთგულება კომუნიზმის საქმისა და თავისი სამშობლოსადმი. ცალ-ცალკე და ჯგუფებად ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, ჰიტლერული აგრესიის მოახლოებული საფრთხის წინააღმდეგ. 1939 წლის სექტემბერში პოლონეთზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის შემდეგ, როცა დანაშაულებრივმა ფაშისტმა მმართველებმა პოლონეთი ბედის ამარა მიატოვეს, პოლონელი კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ხალხის განმათავისუფლებელ ანტიფაშისტურ ბრძოლას.

პოლონელი ხალხის, ისევე როგორც სხვა ხალხების ბედში, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ იყვნენ, მობრუნების პუნქტი იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო სამამულო ომის დაწყების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა კომუნისტების მიერ 1942 წელს იატაკქვეშეთში შექმნილი პოლონეთის მუშათა პარტია.

პოლონეთის მუშათა პარტია იყო პოლონეთის კომუნისტური პარტიის საქმის უშუალო განმგრძობი, მის ბირთვს შეადგენდნენ პოლონეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები პოლონეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების მარცელი ნოვოტკოს (დაიღუპა 1942 წელს) და პაველ ფინდერის (დაიღუპა 1944 წელს) მეთაურობით. პოლონეთის მუშათა პარტიის საქმიანობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე, პოლონეთის კომუნისტური პარტიის წევრი მისი დაარსების მომენტიდან ბოლესლავ ბერუტი და პოლონეთის კომუნისტური პარტიის წევრი 1926 წლიდან ვლადისლავ გომულკა.

პოლონელი ხალხის დემოკრატიული ძალების ბრძოლას მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — პოლონეთის მუშათა პარტიის მეთაურობით 1944-1945 წლებში ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების პირობებში მოჰყვა პოლონეთის როგორც სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანება, რომელშიც ძალაუფლება მშრომელმა კლასებმა აიღეს და რომელმაც თავის შემადგენლობაში გააერთიანა პოლონეთის მთელი მიწები.

ძირეულმა ცვლილებებმა, რომლებიც პოლონეთში მოხდა ჰიტლერული უღლისაგან მისი განთავისუფლების შემდეგ, ამაღლეს მისი როლი საერთაშორისო ცხოვრებაში. სახალხო პოლონეთი კვლავ იქმნებოდა როგორც განუყოფელი რგოლი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკისა, რომელსაც სსრ კავშირი მეთაურობს. მობრუნება სსრ კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და რმისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერით 1945 წლის 21 აპრილს მოსკოვში.

შეუპოვარ და თანმიმდევრულ ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ მშრომელთა ხელისუფლება თანდათანობით დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ გამარჯვებებს აღწევდა. პოლონეთი გადაიქცა ერთ-ერთ განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, განმტკიცდა მისი კავშირი სოციალიზმის ბანაკის ყველა დანარჩენ ქვეყანასთან, მოლაშქრეთანაც იგი დაკავშირებულია სასიცოცხლო ინტერესების ერთობით, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში მონაწილეობით. სავსებით ჩაიფუშა მტრული ელემენტების ცდები, რომლებსაც შთაგონებდნენ უცხოელი იმპერიალისტები, გამოიყენებინათ დროებითი სინძელეები და ცალკეული შეცდომები ხალხის ერთიანობის ძირის გამოსათხრელად, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლის სალიკვიდაციოდ პოლონეთში, სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან პოლონეთის კავშირის შესასუსტებლად და, საბოლოო ანგარიშით, პოლონეთში კაპიტალიზმის აღსადგენად.

ებრძვის რა რევიზიონიზმს, როგორც მთავარ საფრთხეს, ებრძვის რა დოგმატიზმსა და სექტანტობას, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ორგანიზაციულად და იდეურად განმტკიცდა და გამოიწრთო. ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს რა ნაციონალისტთა, კლერიკალთა, რევიზიონისტთა გამოხდომებს, პარტიას მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების დროშა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნისტური და მუშათა პარტიების წაიმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მუშაობაში 1957 წლის ნოემბერში, რომელიც დამთავრდა დეკლარაციისა და მშვიდობის მ

საგარეო

შეერთებული შტატები ეგლაუშვილიან დროებულ შეთანხმებას

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 82-ე წევრი

საბჭოთა მეცნიერების საერთაშორისო აღიარება

დასავლეთი ცდილობს შეინარჩუნოს დაძაბულობა ბერლინში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესია დამთავრდა

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ადგილობრივი დროით 23 საათსა და 55 წუთზე (მოსკოვის დროით 14 დეკემბრის 7 საათსა და 55 წუთზე) მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიამ.

ჟენევის თათბირი

ჟენევა, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა მორიგი სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. თათბირის მონაწილეებმა შეათანხმეს და მიიღეს ტექსტი შეთანხმების პროექტის მესამე მუხლისა, რომელიც ეხება კონტროლს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი. თათბირმა განაგრძო აგრეთვე განხილვა საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტისა ძირითად დებულებათა შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ საკონტროლო ორგანოების დაარსების წესსა და საქმიანობას.

საბჭოთა მეცნიერებს — ნობელის პრემიები

სტოკჰოლმი. (საქდესი). 10 დეკემბერს კონცერტ ჰოუსტში გაიმართა 1958 წლის ნობელის პრემიების გადაცემა. საზეიმო ცერემონიას დაესწრო დაახლოებით 2.000 სტუმარი. მათ შორის იყვნენ მეფის ოჯახის, მთავრობის წევრები, შვეციის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, დიპლომატები, პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები.

თვალსაჩინო მეცნიერული აღმოჩენებისათვის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიეკუთვნა საბჭოთა მეცნიერებს პ. ა. ჩერენკოვს, ი. მ. ფრანკსა და ი. ე. ტამს. პრემიების გადაცემის წინ პროფესორმა კაი სიგბანმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების — ნობელის პრემიის ლაურეატების თვალსაჩინო წვლილი მეცნიერებაში. სიტყვის დასკვნითი ნაწილი მან რუსულ ენაზე წარმოთქვა.

შემდეგ დადგენილი ცერემონიის შესაბამისად შვეციის მეფემ გუსტავ VI ადოლფმა პრემია გადასცა საბჭოთა მეცნიერებს პ. ა. ჩერენკოვს, ი. მ. ფრანკსა და ი. ე. ტამს.

პრემია გადაეცა აგრეთვე ინგლისელ ქიმიკოსს ფრედერიკ სენჩერს და ამერიკელ ფიზიოლოგებს ჯორჯ ბიდლს, ედვარდ ტატუმს და ჯოშუა ლედერბერგს.

რატუშის ოქროს დარბაზში გაიმართა ბანკეტი ნობელის პრემიის ლაურეატთა პატივსაცემად.

★ ★

დასავლეთის 4 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის კომუნიკე

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ბერლინის საკითხზე. ეს მოლაპარაკება გამოიწვია საბჭოთა კავშირის ამასწინანდელმა წინადადებებმა იმის შესახებ, რომ საჭიროა ლიკვიდირებულ იქნეს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საშიში მდგომარეობა ბერლინში, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობის წყაროა.

კომუნიკე, რომელიც გუშინდელი თათბირის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს, მოწმობს რომ მათ არ აურთ დაუშვან ბერლინში არანორმალური მდგომარეობის რაიმე შეცვლა. კომუნიკე არ იძლევა არსებითს პასუხს საბჭოთა წინადადებებზე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების. საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „კვლავ დაადასტურეს, რომ ამ ქვეყნების მთავრობებს განზრახული აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები და თავიანთი უფლებები ბერლინში, მათ შორის თავისუფალი შესვლის უფლება". მათ გამოაცხადეს, რომ „მიუღებლად მიაჩნიათ საბჭოთა მთავრობის ცალმხრივი უარი თავის ვალდებულებებზე", რომლებიც ნაკისრია თავის დროზე ბერლინის ოკუპაციასთან დაკავშირებით. მინისტრები აგრეთვე „იმის წინააღმდეგი არიან", რომ „რწმუნებანი გადაეცეთ" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთ.

დასავლეთის 4 ქვეყნის მინისტრთა გუშინდელი მოლაპარაკება არის პრელუდია ნატოს საბჭოს სესიისა, რომელიც 16 დეკემბერს იხსნება. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები სესიაზე მოეთათბირებიან ნატოს სხვა წევრებს და შემდეგ შეადგენენ პასუხს საბჭოთა მთავრობის ნოტაზე.

დაღესის განცხადება ბერლინის საკითხზე

ვაშინგტონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან თათბირის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა, რომელიც პარიზს მიფრინავს ნატოს საბჭოს სესიაზე, ოფიციალური განცხადება გააკეთა. შეეხო რა საბჭოთა კავშირის წინადადებებს ბერლინის საკითხზე დალესმა სცადა სსრ კავშირის ეს ინიციატივა, რომელიც ემსახურება მშვიდობის საქმეს და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს, დაესახა როგორც ერთგვარი „მუქარა".

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ პარიზში იგი მოეთათბირება საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებს იმ საკითხებზე, რომლებიც, როგორც მან თქვა, დაკავშირებულია „საბჭოთა ახალ ზეგავლენასთან ბერლინზე" და რომ ეს საკითხები „უეჭველად" განხილულ იქნება ნატოს სესიაზე.

თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც უხვად დაარღვიეს პოტსდამის შეთანხმების ძირითადი დებულებანი, დაკარგეს დასავლეთ ბერლინის ოკუპაციის უფლება, მაგრამ შეერთებული შტატები, როგორც დალესის განცხადება გვიჩვენებს, კვლავ ებღაუჭებიან ბერლინის საკითხზე ოთხ მხრივ შეთანხმებებს, რომლებმაც მოჭამეს თავისი დრო.

საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს „ჟურნალ ოფისელში" გამოქვეყნებულია იმ კანდიდატთა სია, რომლებიც დასახელებული არიან საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე. არჩევნები გაიმართება 21 დეკემბერს. ამ სიაში სამი კანდიდატურაა: შარლ დე გოლი, ჟორჟ მარანი და ალბერ შატლე.

დე გოლის, საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი მეთაურის კანდიდატურას მხარს უჭერს მემარჯვენე პარტია „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირი".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის კანდიდატურად დაასახელა მარანი, რომელიც პარტიის გამოჩენილი მოღვაწე და პარიზის გარეუბან ივრი-სიურ სენის მერია.

პარიზის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პროფესორ გატლეს კანდიდატურა დაასახელა მემარცხენე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ — „დემოკრატიულ ძალთა კავშირმა" და ამ კანდიდატურას მხარი დაუჭირა საფრანგეთის ავტონომიურმა სოციალისტურმა პარტიამ.

გვინეის რესპუბლიკა მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის გუშინდელ საღამოს პლენარულ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღო აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფო — გვინეის რესპუბლიკა.

გვინეის რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 82-ე სახელმწიფო გახდა.

დე გოლის კანდიდატურა დასახელებულია საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე



პარიზი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა დე გოლმა ოფიციალური თანხმობა მისცა დაასახელონ მისი კანდიდატურა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის 21 დეკემბერს.

ნიუ-იორკი მეოთხე დღეა უგაზეთოდ დარჩა

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკში გაზეთების მიმტანთა გაფიცვის შედეგად მეოთხე დღეა არ გამოდის 9 უდიდესი ყოველდღიური გამოცემა, რომელთა საერთო ტირაჟია 5.500 ათასი ცალი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, გაფიცულთა წარმომადგენლებს და გაზეთების გამომცემელთა შორის მოლაპარაკებას არ მოჰყოლია რაიმე შედეგი. ნიუ-იორკის გამომცემელთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბერნი კამერონმა, რომელიც გაზეთების გამომცემელთა წარმომადგენელია, განაცხადა, რომ „მოწესრიგების პერსპექტივები ამ მომენტში არც თუ ძალიან სასიხარულოა".

ზღაპრული გოლიათი

ჩიმკენტი, 13 დეკემბერი. (საკდესი). 1955 წლის თებერვალში ყარატასის შანქანა-ტრაქტორთა სადგურის ხუროს მინდულა ნიგმატულინის ცოლმა 24 წლის ზაინაიმ შობა მეორე ვაჟი, რომელსაც დაარქვეს მირგალიმი. ბავშვი ძალიან დიდი იყო და შვიდ კილოგრამსა და 200 გრამს იწონიდა.

ახლა ბიჭი სამი წლისა და ცხრათვენახევრის არის. მისი წონა 50 კილოგრამია — კილოგრამნახევრით მეტია დედამისის წონაზე.

ეს ზღაპრული გოლიათი დიდი საზრიანობითა და ღონით გამოირჩევა. იგი ორი ხელით ადვილად სწევს ფუთიან საწონს.

ახალი წიგნები

კ. კეკელიძე — „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტომი II. რედაქტორი ლ. მენაბდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტირაჟი 10.000. გვ. 752. ფასი 35 მანეთი.

ალ. აბაშელი — „თხზულებათა კრებული", ტომი I (1909-1930 წ. ლექსები). რედაქტორი გ. ციციშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". ტირაჟი 4.000. გვ. 494. ფასი 10 მან. 15 კაპ.

ნ. მიწიშვილი — „რჩეული". რედაქტორი შ. ადხაიძე. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი". ტირაჟი 20.000. გვერდი 264. ფასი 7 მან. 15 კაპ.

ა. შირვანზადე — „მოთხრობები", თარგმანი სომხურიდან. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". რედაქტორი პლ. ბეგია. ტირაჟი 10.000. გვ. 196., ფასი 4 მან. 30 კაპ.

წიგნი ილია ჭავჭავაძის შესახებ

სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მოსკოვში, რუსულ ენაზე ამას წინათ გამოსცა პ. რატიანის წიგნი „ილია ჭავჭავაძე — ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი".

წიგნს წამძღვარებული აქვს ცნობილი პორტრეტი დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძისა. მის მიერ თავის დროზე გაკეთებული ხელმოწერით.

წიგნი შედგება ოთხი თავისაგან, რომლებიც მოჰყვება შესავალს: ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი (გაგრძელება).

წიგნის მთარგმნელია ფ. ა. თვალთვაძე, რედაქტორი — ვ. ვიქტოროვი. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ე. კრიკინსკაიას მიერ.

ახალი წიგნი გამოშვებულია 15.000 ცალი ტირაჟით. ფასი — 7 მანეთი, 90 კაპიკი.

ი. გოგებაშვილის სახლი-მუზეუმი



კარგა ხანია არა ჰყოლია სოფელ ვარიანს იმდენი სტუმარი, რამდენიც იყო კვირას, 14 დეკემბერს.

თბილი, მზიანი დღეა. დილიდანვე დაიწყო სტუმრების დენა ვარიანში თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან. მოვიდნენ ქალაქ გორის მშრომელები, გორის რაიონის კოლმეურნეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამბ. ი. ტოლიაშვილი მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა პროფესორმა გ. თავზიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი რაფერ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გ. კიკნაძე, გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე დოცენტი ტ. სარიშვილი, ოსი მწერალი გ. ძუგაევი და სხვები.

ლექსები წაიკითხეს ვარიანის გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ლ. ჯორკველიშვილმა, ც. მარწყვიშვილმა, ნ. ურჯუმელაშვილმა.

მიტინგის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს იაკობის თანასოფელელის, მოხუცი კოლმეურნის კოლა ადუაშვილის სიტყვა. იგი სწავლობდა იაკობ გოგებაშვილის მიერ დაარსებულ სოფლის სკოლაში და მოიგონა, თუ რა დიდ და დაუღალავ მუშაობას ეწეოდა იაკობი წერა-კითხვის გასავრცელებლად.

მიტინგი დახურულად ცხადდება. იღება სახლ-მუზეუმის კარი. მნახველები დიდი სიყვარულით ათვალიერებენ სახლ-მუზეუმის ოთახების ექსპოზიციებს.

მ. ხეთაგური.

* * *

სურათზე: მიტინგი ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან.

დიდი მოგება

მოქალაქე ი. ვ. დარჩიამ თბილისის ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ორასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც 66-ე ტირაჟში ხვდა მოგება 50.000 მანეთი.

სპორტის ა/მბები

ქალთა საბადრაკო ჩემპიონატი

ხარკოვი. 15 დეკემბერი. (ტელეფონით). სსრ კავშირის ქალთა საბადრაკო ჩემპიონატის თხუთმეტმა ტურმა შეუპოვარ ბრძოლაში განვლო. 13 დეკემბერს გათამაშდა გამოტოვებული პარტიები, აგრეთვე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

როგორც ვიუწყებოდით, ე. კაკაბაძეს მსოფლიო ჩემპიონთან ე. ბიკოვასთან გადადებულ პარტიაში უპირატესობა ჰქონდა, ეტლების რთულ ენდშპილში ე. კაკაბაძემ ეს უპირატესობა კარგად გამოიყენა და გამარჯვებას მიაღწია. ასევე წარმატებით ჩაატარა შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ა. ჩაიკოვსკაიამ ი. გურფინკელის წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში კიდევ 1 ქულა ჩაიწერა.

ო. იგნატიევამ მოუგო ბ. გოიხენბერგს, ტ. ზატულოვსკაიამ—თ. სტრანდსტრემს, ი. გურფინკელმა — ა. კუშნირს, ლ. იაკირმა — ლ. მალინოვას. ტ. ზატულოვსკაია-ლ. იაკირის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ქალი კ. ზვორიკინა. ჩემპიონატში კვლავ დაუმარცხებლად გამოდის. კ. ზვორიკინამ ს. როოტარესთან გამოტოვებული პარტია ყაიმით დაამთავრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ პირველობის ლიდერობას კვლავ ლ. ვოლპერტი ინარჩუნებს, რომელსაც 15 შესაძლებლიდან 10,5 ქულა აქვს. კ. ზვორიკინას 14-დან 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ნ. გაფრინდაშვილს — 14-დან 9,5 ქულა, ტ. ზატულოვსკაიას — 14-დან 9 ქულა.

შვეცია — საქართველო

დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში შვეციისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

შვეციის სპორტსმენები თბილისს 14 დეკემბერს ეწვევნენ. აეროდრომზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თაიგულები უძღვნეს. შვედმა მოჭიდაველებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

საქართველოს ქალათბურთელთა წარმატება

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მიმდინარეობს „ა" კლასის ქალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივების ასპარეზობა სსრ კავშირის ზამთრის პირველობაზე.

საქართველოდან ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდები და „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი. თბილისის ვაჟთა გუნდებმა მორიგი შეხვედრები გამართეს ალმა-ატაში ადგილობრივ „ბურევესტნიკთან".

თანაკლულებელის — თბილისისა და ალმა-ატის ბურევესტნიკელთა მატჩი, რომელიც 12 დეკემბერს ალმა-ატაში გაიმართა, თბილისელთა უპირატესობით წარიმართა. პირველ ტაიმში სტუმრებმა მოწინააღმდეგეს 11 ქულით გაუსწრეს, შეჯიბრების მეორე ნახევარში ქულათა ეს განსხვავება კიდევ უფრო გაზარდეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 71:57.

14 დეკემბერს ალმა-ატის „ბურევესტნიკი" შეხვდა თბილისის „დინამოს". მატჩი ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა დინამოელთა მორიგი გამარჯვებით 68:60.

წყალბურთელთა შეხვედრები

მოსკოვში, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში მიმდინარეობს „ა" კლასის წყალბურთელთა კოლექტივების მეორე წრის მატჩები. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდის 2 გუნდი — „დინამო" და „ბურევესტნიკი".

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის „დინამოსა" და „კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (ბაქო) გუნდების შეჯიბრებამ. ორივე კოლექტივმა აჩვენა მაღალტექნიკური თამაში. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 3 : 2.

მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელთა ძლიერმა გუნდმა დაამარცხა დედაქალაქის „შრომითი რეზერვები" 7 : 4, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა — თბილისის „ბურევესტნიკი" 6 : 2. მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა" და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1 : 1.

შეჯიბრება გრძელდება.

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და بالეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ლიტვის სსრ
დამსახურებული არტისტის
ვალენტინ ადამკევიჩიუსის
(ტენორი)
გასტროლები
ხუთშაბათს, 18 დეკემბერს
მე-3 აბონ. მე-4 სპექტ.
ჯ. ვერდი
აიდა
რადამესის პარტიას ასრულებს
ვ. ადამკევიჩიუსი
კვირას, 21 დეკემბერს
მე-10 აბონ. მე-3 სპექტ.
ჯ. პუჩინი
ტოსკა
კავარადოსის პარტიას ასრულებს
ვ. ადამკევიჩიუსი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს
ჯ. ფლეტჩერი
ესპანელი მღვდელი
ხუთშაბათს, 18 დეკემბერს,
შაბათს, 20 დეკემბერს
ალ. აფხაიძე
არაგველები
პარასკევს, 19 დეკემბერს
გ. სევასტიკოგლუ
ანგელა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო აცხადებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელთა და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომლებიც სახალხო ნაძვისხეს აწყობენ, რომ სახალხო ნაძვისხის მოწყობისას ხანძრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ზუსტად დაიცვან სახანძრო უმშიშროების შემდეგი ღონისძიებანი.

ნაძვისხე უნდა დაიდგას ოთახის შუა ადგილას მყარ ჯვარისებრ სადგარზე, მიწიან ყასრში ან ყუთში ისე, რომ მისი შტოები კედლებსა და ჭერს არ ეხებოდეს. ნაძვისხე განათებული უნდა იყოს ელნათურებით.

ნაძვისხის მორთვისას მასზე არ უნდა დავკიდოთ ცელულოიდისა და სხვა ადვილად აალებადი სათამაშოები, არ უნდა გამოვიყენოთ სერპანტინი, ბერთოლეტის მარილი. ნაძვისხის სადგარსა და ტოტებზე არ უნდა დავფინოთ ცვილგაჟღენილი ხსნარით გაუჟღენთავი ბამბა.

ნაძვისხის მოწყობისას აკრძალულია ფეიერვერკის, მაგნიუმის ანთება, ელექტროშედუღების მოლაბილი ჩაქრობა, თამბაქოს მოწევა და სადგომის გასასვლელების რაიმეთი ჩახერგვა.

ნაძვისხესთან არ დაიშვებიან ის ბავშვები ან მოზრდილები, რომლებსაც ცვილგაჟღენილი ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის ქაღალდის ან მარლის კოსტუმები აცვიათ, ნება არ უნდა დავუთოთ მოაწყონ ნაძვისხის გარშემო ანთებული სანთლებით თამაში.

პიონერთა სასახლეებში, სკოლებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ნაძვისხის მოწყობა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დაუთვალიერებლად და მათგან ნებართვის მიუღებლად აკრძალულია.

ქალაქ თბილისში ნებართვას გასცემენ რაიონული სახანძრო ნაწილები, სხვა ქალაქებსა და რაიცენტრებში სახანძრო რაზმები, ხოლო სოფელ ადგილებში რაიონის სახანძრო ინსპექტორები.

საახალწლო ნაძვისხეს მოწყობისას სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისა ან შეუსრულებლობისათვის ღამნაშავე პირები მიეცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო

ᲕᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲓᲔᲪᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲛᲝᲬᲚᲝᲑᲘᲡ დაწესებულებები 16-დან 20 დეკემბრამდე (ჩათვლით) წინასწარ იღებენ საახალწლო მისალოცი დეპეშებს შეღავათიანი ნიხრით (სიტყვა 15 კაპიკი ნაცვლად 30 კაპიკისა) მრავალფეროვან მხატვრულად გაფორმებულ და ჩვეულებრივ ბლანკებზე.

ასეთი დეპეშები ადრესატებს ჩაბარდება თქვენს მიერ ნაჩვენებ დროს — **„31 დეკემბერს“ ან „1 იანვარს“.**

საახალწლო მისალოცი დეპეშების მიღება შეწყდება 27 დეკემბერს.

27 დეკემბრის შემდეგ გაგზავნილი საახალწლო მისალოცი დეპეშები ადრესატებმა შეიძლება დაგვიანებით მიიღონ ტელეგრაფის გადატვირთვის გამო.

ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო მოგაგონებთ, რომ ფულისა და ნივთების პირველი ლატარიის პირობების შესაბამისად, ლატარიის მოგებახვედრილი ბილეთები წარდგენილი უნდა იქნას გასახაღდებლად 1958 წლის 31 დეკემბრამდე ჩათვლით.

1959 წლის 1 იანვრიდან მოგება ფულისა და ნივთების პირველი ლატარიის ბილეთებით არ გაიცემა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲗᲐᲠᲗᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

აცნობებს ფარმაციისა და მედიცინის მუშაკებს, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს, რომ მიმდინარე წლის 20 დეკემბრიდან მთავარი საფთიაქო სამმართველო აწყობს სამკურნალწამლო პრეპარატებისა და წამლის ფორმების მიღების, შენახვის, მომზადებისა და ხმარების შესახებ კონსულტაციებს.

ქალაქ თბილისში მცხოვრებ და მომუშავე პირებს შეუძლიათ კონსულტაცია მიიღონ შაბათობით 13-დან 15 საათამდე პირადად ან ტელეფონით 3-21-87, საქართველოს რესპუბლიკის რაიონებიდან კი შეკითხვები შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით. ქ. თბილისი, ქამოს ქ. № 76, მთავარი საფთიაქო სამმართველო. ამასთან წერილობით შეკითხვას დართული უნდა ჰქონდეს შემკითხველის ზუსტი მისამართი.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში
1958 წლის 24-25 დეკემბერს
გაიმართება ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის

ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ტირაჟში გათამაშდება ფულისა და ნივთების **200.000** მოგება **10.000.000** მანეთის საერთო თანხისა.

მოგებათა რიცხვშია:

ერთბინიანი სამოთახიანი სახლები, ავტომანქანები, საწოლი ოთახის გარნიტურები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მაცივრები, პიანინოები, აკორდეონები, ფოტოაპარატები, საათები, საკერავი მანქანები, ხალიჩები, ტელევიზორები, აგრეთვე ფულადი მოგებანი 50 მანეთიდან 10.000 მანეთამდე.

მიიღეთ მონაწილეობა მოგებათა ტირაჟში
ტირაჟზე დასწრება თავისუფალია.

ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲘᲒᲝᲡ 100.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

სახელმწიფო 3%-იან შინაგან მომგებიან სესხზე ყოველწლიურად ტარდება ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი.

მორიგი მეთორმეტე დამატებითი მოგებათა ტირაჟი შედგება 1959 წლის 30 სექტემბერს.

ამ ტირაჟში, გარდა **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000** და **400** მანეთიანი მოგებებისა, გათამაშდება აგრეთვე **100.000** მანეთიანი მოგება.

მეთორმეტე დამატებითს ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ობლიგაციები, რომლებსაც თან ახლავს № 12 და ყველა მომდევნო ტალონი.

№ 12 ტალონიან ობლიგაციებს შემნახველი სალაროები ყიდიან 1959 წლის 1 იანვრამდე. 1959 წლის 1 იანვრიდან ობლიგაციები გაიყიდება ისე, რომ მათ არ ექნებათ № 12 ტალონი.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-ანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

დღეს თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — ჩიო-ჩიოსან (მე-7 აბონ. მე-4 სპექტ), **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩიპოლინოს თავგადასავალი (აბონ. № 5, 43, 44, 10 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — ოლია პარხომენკოს კონცერტი (ვიოლინო).

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ამირანი, ისანი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, საქართველო (მწვანე დარბაზი) **გორკის სახელობის კულტურის სახლი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — სქმრო ლაურასათვის, **კომკავშირელი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ყვავილი ღამეში, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი. **კოლხიდა** — წითელი ფოთლები, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ეძიე ვინდა კოსი, **ყაზბეგი, დიდუბე, კოლმეურნე, კომუნარების ბაღი** — თიკანი ორ გროშად, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (სახფეხელო) — განსაკუთრებული დავალება, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კიროვის სახელობის პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი, კულტურის ცენტრალური სახლი** — სიყვარული ბაებანი.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

ხელმოწერა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე მთავრდება 22 დეკემბერს.

მოქალაქენო! ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე გამოწერა უზრუნველყოფს მათ წესიერ მიწოდებას.

„სოიუზპეჩატი“

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განაყოფ